პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№97 (6162) 20 მაისი, შაბათი. 1978 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ძმა ძმისთვის

გაზაფხულზე მიწას ხეირია-...დ არ გამღვიძებოდა, ხეხილი არც ...ი აყვავებულიყო, აქა-იქ, მზის ...ულზე თუ ამომწვანებულიყო ბა-...ლახი, რომ ყომრალი ღრუბელი ...ეიყარა კავკასიონზე, შავად ჩა-...მოპნელა მთების კალთები, თვა-...ლსაუწვდენელი ღრანტეები და ...ერე დოსტოლრივ გამოხწია ბარი-...კენ.

...ჭერ ისევ გასახსვლელი იყო ...ზი.

...ვენახები ჭერაც არ დაებარათ. ...გუთნის პირს არ გაევლო მი-...ში და წვიმები დაიწყო. დაიწ-...ო და კარგახანს აღარც გადაუ-...ღია. ადამიანები გულდამძიმებუ-...ნი ასცქეროდნენ ჩამოდაბლებულ ...ცას — წვიმა აფერხებდა საგა-...ზაფხულო კულტურების თესვას, ...ლეოდა პირუტყვისათვის საზამ-...თროდ მომარაგებული საკვები, ახა-...ლი ბალახი კი ჭერაც არსად ჩან-...და.

...აპრილის დამლევს სამხრეთ ზე-...განზე თოვლი ჩამოყარა; საგარე-...ოს, ვანისა და ზოგიერთ სხვა ...რაიონებში ძლიერმა სეტყვამ ჩა-...ფეჟვა ვაზი, ჩეჩილი; გადაბმულ-...მა წვიმებმა მდინარეები ადიდეს ...და წყალდიდობამ საგრძნობი ზა-...რალი მიაყენა სოფლის მეურნე-...ობას.

...მთელი თვით დაგვიანდა საგაზა-...ფხულო სამუშაოების დაწყება.

...ამ უაღრესად რთულ სიტუაცი-...ასთან დაკავშირებით საქართველოს ...კომუნისტური პარტიის ცენტრა-...ლურმა კომიტეტმა წერილით მი-...მართა რესპუბლიკის სოფლის ...შრომელებს, მუშებს, ინტელიგე-...ნციას, ახალგაზრდობას, ყველა კო-...მუნისტსა და კომკავშირელს და-...იწყონ ფართო შეტევა სასოფლო-...სამეურნეო სამუშაოთა ყველა ...ფრონტზე, განსაკუთრებით საკვე-...ბის მოპოვების ფრონტზე და გა-...მოთქვა მტკიცე რწმენა იმისა, რომ ...რესპუბლიკის მუშათა კლასი, ინ-...ჟინერ-ტექნიკური პერსონალი ყო-...ველ ღონეს იხმარენ, რათა დაეხ-...მარონ სოფლის მშრომელებს და-...ძლიონ წლევანდელი გაზაფხულის ...რთული პირობებით გამოწვეული ...შედეგები.

...ამ წერილს ფართოდ გამოეხმა-...ურნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრო-...მელები, კომკავშირელი ახალგაზ-...რდობა. ქალაქის მცხოვრებნი ჩვე-...ული ენთუზიაზმით დაირაზმნენ ...სოფლის დასახმარებლად და, რა ...თქმა უნდა, მათ არც ჩვენი რეს-...პუბლიკის სპორტსმენები ჩამორ-...ჩებიან.

...გურჯაანელ მევენახეებს კარგად ...ახსოვთ შარშანდელი შემოდგომა, ...როცა მათ მხარდამხარ ჩვენი სა-...ხელოვანი სპორტსმენები, ჩვენი ...ფიზკულტურელებიც შრომობდნენ ...და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ...ყურძნის მოსავლის სახელმწიფო ...გეგმის შესრულებაში. თავის მხრივ ...არც სპორტსმენებს დავიწყებიათ ...გურჯაანელთა გულთბილი შეხვედ-...რა. სწორედ მაშინ, ქარვისფერი ...მტევნებით დახუნძლულ ზვრებში ...ჩაეყარა საფუძველი იმ მეგობ-...რობას, რომელმაც ახლაც უნდა ...იჩინოს თავი და კვლავაც გააგრძე-...ლოს საჭირო და სასიქადულო ტრა-...დიცია.

...„ძმა ძმისთვისო..." — უთქვამს ...ქართველ კაცს და სწორედ ახლა ...უნდა გამოჩნდეს ქალაქისა და ...სოფლის ძმობა. ახლა უნდა გაუ-...წოდოს ქალაქმა სოფელს დახმარე-...ბის ხელი და ამ კეთილშობილურ ...საქმეში, უეჭველია, ჩვენი ფიზ-...კულტურელები და სპორტსმენე-...ბიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

# ხვეულები ლიდერის გზაზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 18 მაისი.

„დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0 (1:0).

„დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

„ნეფთჩი": მიროშნიკოვი, ყულიევი, ყულამოვი, უზბეკოვი, ნამაზოვი, ტ. აბასოვი, შიხლაროვი, რახმანოვი, ორუჯევი (სმოლნიკოვი), ყურბანოვი, ალი-ზადე (ჯავადოვი).

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გოლი გაიტანა ყიფიანმა (26 წ.).

**მატჩის** დასრულებიდან სულ რაღაც საათნახევრის შემდეგ ცნობილი გახდა ტურის სხვა ექვსი შეხვედრის შედეგები.

იმდენად ანგარიშგასაწევი, მნიშვნელოვანი იყო ეს ინფორმაცია, რომ თითქმის მოფიქრებული სათქმელის კონტურები როგორღაც მოიშალა და გულახდილად რომ ვთქვა, შევყოყმანდი. ცალკერძ — ძალზე ცუდად ნათამაშევი მატჩით დატოვებული უკმაყოფილება, ცალკერძ — ქულები, გუნდების სატურნირო მდგომარეობა.

ციფრების, ფაქტების ძალა ცნობილია. ფაქტი კი იმას ამბობდა, რომ მეშვიდე ტურმა თბილისის „დინამო" ისევ ერთპიროვნულ ლიდერად აქცია. უახლოესი მდევარი ორი ქულით ჩამორჩა. მაგრამ საქმე მარტო ის არ იყო, რომ ჩვენმა ძირითადმა კონკურენტებმა ქულები დაკარგეს და თბილისელებმაც თითქოსდა სხვის ხარჯზე მოახერხეს დაწინაურება. „დინამომ" წლევანდელ სეზონში 11 მატჩი ითამაშა (თასზე მატჩების ჩათვლით) — რვა გამარჯვება, ორი ფრე და ერთი წაგება. დამარცხებულთა შორის არის ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი კიევის „დინამო". ამაზე უკეთესს კაცი მართლაც ძნელად ინატრებს, მაგრამ... მიუხედავად ლიდერობისა, მიუხედავად რიგ შეხვედრებში ნაჩვენები ძალზე კარგი ფეხბურთისა, „ნეფთჩისთან" მატჩმა მაინც დაგვიტოვა საფიქრალი და, ცოტა არ იყოს, სერიოზულიც. რასაკვირველია, იმ ანგარიშით, რომ წლეულს დინამოელებს მეტს მოსთხოვენ, ვიდრე შარშან, და უფრო მეტს, ვიდრე შარშანწინ (ეს ბუნებრივიც არის და ნურც ნურავის გაუკვირდება — უძლურისა და უპერსპექტივოს მიმართ პრეტენზიებიც არავის უჩნდება).

ბაქოელებმა მხოლოდ ერთ ფეხბურთელს — შიხლაროვს დაუტოვეს წმინდა ფორვარდის ფუნქციები. თუმცაღა იერიშებში საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ ალი-ზადე და ყურბანოვიც. ისე კი, მინდვრის შუაგულში ოთხზე ნაკლები ფეხბურთელი „ნეფთჩის" ერთხელაც არ ჰყოლია. ცენტრში წყვილად მოქმედებდნენ რახმანოვი (8) და ორუჯევი (9). ეს უკანასკნელი ფაქტიურად ყიფიანის ნეიტრალიზებას უნდებოდა.

იმის პირველი ნიშანი, რომ სტუმრები შეშინებულნი და წინასწარ განწირულები არ გამოსულან მინდორზე, ბაქოელთა მარჯვენა მცველის ერთობ გაბედული რეიდები იყო. ყულიევი მაშინდა „ჩაცხრა", როცა გუცაევმა მის ფლანგზე გადაინაცვლა. მაგრამ ეს მხოლოდ ნიშანი იყო. მერე კი ორთაბრძოლა მასპინძელთათვის საკმაოდ არასასიამოვნო ხასიათისა გახდა. ერთხანს 26 წუთზე „ნეფთჩის" კარში გატანილმა გოლმა (მცველებმა საჯარიმოში წააქციეს შენგელია — პენალტი) თითქოსდა დაამძაფრა თამაში, მაგრამ მხოლოდ ერთხანს.

რამდენიმე თვალშისაცემი მომენტი განვლილი მატჩიდან:

თბილისელებმა ვერ მოახერხეს მეტოქის მცველთა მინდვრის მთელ

(დასასრული მე-3 გვ.).

**სურათზე:** დინამოელთა ცენტრალური მცველი ფ. კანთელაძე იმარჯვებს მეტოქესთან ორთაბრძოლაში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.



## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგის გუნდების სხვა შეხვედრები 18 მაისს დამთავრდა ასეთი შედეგებით:

„ქაირათი" — „დნეპრი" 1:0

„არარატი" — „ჩერნომორეცი" 0:2

„შახტიორი" — „ფახთაქორი" 2:1

„ზარია" — „ტორპედო" 3:0

„ლოკომოტივი" — „დინამო" კ. 1:1

„ზენიტი" — „დინამო" მ. 1:1

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 7 | 5 | 1 | 1 | 8—5 | 11 |
| „ტორპედო" | 7 | 3 | 3 | 1 | 10—5 | 9 |
| „შახტიორი" | 6 | 4 | 0 | 2 | 8—5 | 8 |
| „დინამო" მ. | 6 | 3 | 2 | 1 | 9—6 | 8 |
| „დინამო" კ. | 7 | 3 | 2 | 2 | 8—5 | 8 |
| „ზენიტი" | 7 | 3 | 2 | 2 | 9—10 | 8 |
| „ჩერნომორეცი" | 7 | 3 | 2 | 2 | 8—6 | 8 |
| „ქაირათი" | 7 | 3 | 2 | 2 | 8—10 | 8 |
| „ფახთაქორი" | 7 | 3 | 1 | 3 | 14—11 | 7 |
| „ზარია" | 7 | 3 | 0 | 4 | 10—9 | 6 |
| ცსკა | 6 | 3 | 0 | 3 | 7—7 | 6 |
| „ლოკომოტივი" | 7 | 1 | 4 | 2 | 8—10 | 6 |
| „არარატი" | 7 | 2 | 1 | 4 | 3—7 | 5 |
| „ნეფთჩი" | 7 | 2 | 1 | 4 | 3—5 | 5 |
| „სპარტაკი" | 6 | 1 | 1 | 4 | 5—11 | 3 |
| „დნეპრი" | 7 | 1 | 0 | 6 | 2—8 | 2 |

## ჭადრაკი

# დღეს ქუთაისში...

**საკავშირო** და საერთაშორისო სარბიელზე ქართველ მოჭადრაკე ქალთა თვალსაჩინო წარმატებებმა უკარნახა საბჭოთა ჭადრაკის მესვეურებს, რომ წლეულს საქართველოს ქალთა ტრადიციულ პირველობას მიეკუთვნოს სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალის უფლებაც. ამიტომ შეჯიბრებაში I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ფინალის საგზურებსაც მიიღებენ. საკავშირო ჩემპიონატი კი გაიმართება კიევში 3-29 ოქტომბერს. მასში თამაშის პერსონალური უფლება აქვთ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს და სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორებს — დიდოსტატებს მ. ჩიბურდანიძეს, ნ. ალექსანდრიასა და ოსტატ ნ. თოსელიანს.

და აი, დღეს ქუთაისში სტარტს იღებს საქართველოს ქალთა პირველობა. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ნ. მელაშვილი, ოსტატები თ. ხუგაშვილი, ც. კობაიძე, ოსტატობის კანდიდატები ც. კახაბრიშვილი, მ. წერეთელი, ქ. მელაშვილი, ნ. ჩხაიძე, ლ. თანდაშვილი, ლ. ბელოზიოროვა (ყველა — თბილისი), თ. მესხი, ლ. ფაჩუაშვილი (ორივე — ქუთაისი), ნ. იმნაძე (მახარაძე), ნ. გურგენიძე (რუსთავი), პირველთანრიგოსნები ი. აბზიანიძე (ქუთაისი), ც. ქასოშვილი (გორი), ნ. გოგია (ცხაკაია), ნ. მუსერიძე (თბილისი) და ვ. შეყილაძე (ტყიბული).

პირველობის მსაჯთა კოლეგიას უთავკაცებს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ზ. ბურკაძე (ქუთაისი).

მოჭადრაკე ქალთა პაექრობა 10 ივნისამდე გასტანს.

## ველოსპორტი

**მშვიდობის** 31-ე ველორბოლის მონაწილეებმა კიდევ ორ ეტაპზე შეაჯამეს შედეგები. VI ეტაპზე (კარლოვი ვარიდან პრაღამდე) რბოლის მონაწილეებმა 185 კილომეტრი გაიარეს. მათ ფინიში ჩვეულებრივად სტადიონზე კი არ ელოდათ, არამედ ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე. ყველაზე კარგად იარა იტალიელმა ა. ფოსატომ — 4:51.12, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბულგარელი ი. პენჩევი — 4:51.17 და მ. კლასი (ჩეხოსლოვაკია) — 4:52. 46.

VII ეტაპი ლიბერეცში დამთავრდა. დაახლოებით შუა ტრასაზე მარტო დაწინაურდა კუიბიშეველი ა. ავერინი. ასეთ პირობებში ბრძოლა ძალზე ძნელია, მაგრამ ამ სპორტსმენმა მებრძოლის უჩვეულო თვისება გამოავლინა და შეძლო ფინიშზე უახლოესი მეტოქისთვის 3 წუთზე მეტით მიესწრო — 3:35.13.

ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე ძირითად ჯგუფს კიდევ ხუთი კაცი გაექცა, რომელთა შორის იყო ფსკოველი ი. ზახაროვი. იგი მესამე მივიდა ფინიშთან.

ამ ეტაპზე სსრ კავშირის ნაკრებმა კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა გდრ-ის გუნდთან, რომელიც II ადგილზეა. ახლა საბჭოთა სპორტსმენები მთავარ მეტოქეს 3 წუთზე მეტით ასწრებენ.

## კრივი

**ბელგრადში** მოკრივეთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ფინალური ბრძოლები. ფინალში ოთხი საბჭოთა მოკრივე გამოვა.

აი, როგორ დაწყვილდნენ წონითი კატეგორიების მიხედვით მოკრივენი: მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი ხ. ერნანდესი (კუბა) — ს. მუჩოკი (კენია), ევროპის ჩემპიონი ხ. სრედნიცკი (პოლონეთი) — ე. რამირესი, ა. ორტა (ორივე კუბა) — ფ. შაჩიროვიჩი (იუგოსლავია), ოლიმპიური ჩემპიონი ა. ერერა (კუბა) — ბ. რისტიჩი (იუგოსლავია), ვ. სოროკინი (სსრ კავშირი) — ა. დევიდსონი (ნიგერია), ვ. ლვოვი (სსრ კავშირი) — მ. ბოგუევიჩი (იუგოსლავია), ვ. რაჩკოვი (სსრ კავშირი) — მ. პერუნოვიჩი (იუგოსლავია), ევროპის ჩემპიონი ვ. სავჩენკო (სსრ კავშირი) — ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელი ლ. მარტინესი, ხ. გომესი (ორივე — კუბა) — ტ. უუსივირტა (ფინეთი), ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი ს. სორია (კუბა) — ტ. კაჩარი (იუგოსლავია), ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიო ჩემპიონი ტ. სტივენსონი (კუბა) — დ. ვუიკოვიჩი (იუგოსლავია).

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საბჭოთა მოკრივეებმა, ვლადივოსტოკელმა ა. მიხაილოვმა (51 კგ) და კაუნასელმა ნ. ეროფეევმა (81 კგ).

# კალათბურთელთა ევროპული...

**პოლონეთის** სხვადასხვა ქალაქში დღეს დაიწყება კალათბურთელ ქალთა ევროპის XVI ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ამ ასპარეზობის 13-გზის გამარჯვებული საბჭოთა ნაკრები პირველ შეხვედრებს გამართავს ქალაქ კონინში საფრანგეთის, გფრ-ისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებთან 20, 21 და 22 მაისს შესაბამისად. თითოეული ჯგუფიდან (დანარჩენი ორი ჯგუფიც ამავე რიცხვებში გამართავს მატჩებს ტორუნსა და ზელენა-გურაში) ორი საუკეთესო გუნდი და პოლონეთის ნაკრები გაითამაშებენ ფინალურ ტურნირს, რომელიც 24-დან 30 მაისის ჩათვლით პოზნანში გაიმართება.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ლ. ალექსეევას აზრით, საბჭოთა კალათბურთელების ყველაზე სერიოზული მეტოქე იქნება შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჩეხოსლოვაკიის გუნდი, აგრეთვე, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და იტალიის გუნდები. იგი ყველა გუნდისთვის საშიშ მეტოქედ მიიჩნევს მასპინძელთა ნაკრებსაც, რომელმაც ბოლო დროს მნიშვნელოვანი აღმავლობა განიცადა. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმ დიდი ნახტომის შემდეგ...

## თბილისის პირველობაზე

**მშდ** კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე შარშან თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები კოლექტივის თვისობრივი ნახტომი. გულშემატკივრებში კანონზომიერ სიამაყეს იწვევდა. ეს წარმატება იყო შედეგი მთელი გუნდის, მისი ყველა წევრის დაუღალავი, ხანგრძლივი, ერთობლივი წვრთნისა, რომელსაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტი თავის ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა.

სპორტის მოყვარულებში სამართლიანად გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ თურმე ჩვენი რესპუბლიკის მშდ კომპლექსის მრავალჭიდელებსაც შესძლებიათ ბრძოლა და თუ ისინი ოქტომბრის შემდეგ პერიოდს მორიგ საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადებაში უნარიანად გამოიყენებდნენ, უფრო მაღალი შედეგების მოპოვებაც შეიძლებოდა.

ამისთვის აუცილებელი იყო იმ სპორტსაზოგადოებებს, უწყებებს, ქალაქების სპორტკომიტეტებს, რომელთა მრავალჭიდელებიც საქართველოს ღირსებას იცავდნენ, სპორტსმენები თავიანთი მხედველობის არედან არ გაეშვათ, მათთვის ინტენსიური წვრთნის, ტექნიკის სრულყოფის, შედეგების კიდევ უფრო ამაღლებისთვის საჭირო პირობები შეექმნათ.

რა იყო საჭირო? პირველ რიგში პერსპექტიული სპორტსმენების ხარისხიანი მცირეკალიბრიანი შაშხანებით აღჭურვა, აუზებში და სტადიონებზე ვარჯიშისთვის საჭირო დროის გამოყოფა, მათს საქმიანობაზე კონტროლის დაწესება, ამასთან მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ახალი შეჯიბრებების მაღალ დონეზე გამართვა, ძიება სხვა პერსპექტიული ათლეტებისა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ნაკრებში ადგილებს გაბედულად დაიკავებდნენ.

სინამდვილეში როგორ არის საქმე? როგორც ამ დღეებში გამართულმა თბილისის საუწყებო შეჯიბრებამ დაგვანახა, ძალიან ცუდად. მონაწილეთა შედეგები უმეტეს შემთხვევაში იმდენად დაბალი გამოდგა, რომ რესპუბლიკის ნაკრების წევრთა მიერ ოქტომბერში მოპოვებული მაჩვენებლებისა და ახლანდელი შედეგების შედარების შედეგი ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას.

როცა საქალაქო პირველობის დამთავრების შემდეგ საქართველოს შარშანდელი ნაკრები კოლექტივის წევრებს (ისინი ახლაც ნაკრებში ირიცხებიან) შედეგების ასე გაუარესების მიზეზები ვკითხეთ, თ. როჟმანოვამაც, ლ. შუმილინამაც, გ. ქათამაძემაც, ე. გორგოძემაც... ყველამ ერთხმად აღიარეს, რომ საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ განვლილ ექვსთვენახევარში ხეირიანად ერთხელაც არ უვარჯიშიათ.

ე. გორგოძეს არ დაუმალავს, რომ შაშხანა დღემდე არა აქვს. მას ცურვაში და სროლაში მხოლოდ 2-2 ვარჯიში ჩაუტარებია. იგივე დაადასტურეს როჟმანოვამ, შუმილინამ. ახალგაზრდა ნიჭიერმა მრავალჭიდელმა თ. ტუაევმა გვითხრა: იძულებული ვარ ვარჯიშებს თავი დავანებო, რადგან ინვენტარი, ვარჯიშისთვის საჭირო პირობები არ გამაჩნიაო.

მ. ქათამაძემ, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატის დროს მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 98 ქულა მოაგროვა და თავის ასაკობრივ ჯგუფში II ადგილი დაიკავა, თბილისის პირველობაში 10 ტყვიის გასროლით 84 ქულას ძლივს მოუყარა თავი (?!).

ისიც გავიგეთ, რომ კლარა გუმბას 3 აპრილამდე სროლაში ერთი ვარჯიშიც არ ჩაუტარებია, მერე არარეგულარულად მეცადინეობდა. ეს საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადის პროგრამით გამართულ მრავალჭიდელთა შეჯიბრებამაც დაადასტურა (მან იქ 124 ქულა მოაგროვა), ხოლო ახლა, საქალაქო პირველობაში მისი შედეგი (107 ქულა) მრავალჭიდში ამ სპორტსმენის პირად რეკორდზე ბევრად დაბალია.

თბილისის ტურნირის მონაწილეებს არც ის დაუმალავთ, რომ შედეგებზე ძალიან იმოქმედა შეჯიბრების დაბალმა ორგანიზაციამ. მართალია, საასპარეზონი ქალაქის სპორტკომიტეტის ინიციატივით შესანიშნავად იყო მორთულ-მოკაზმული, მაგრამ სროლაში შეჯიბრება ძალიან დაბალ დონეზე ჩატარებულა. ამ სახეობის უფროსმა მსაჯმა, დოსააფის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჯიჯიაშვილმა სასროლეთის მომზადებისთვის დროულად არ იზრუნა, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ ცეცხლის ხაზი მოუწყობელი და დასასუფთავებელი იყო, შაშხანები ადგილზე არ აღმოაჩნდათ, მათ მოტანაში კი სტარტმა საგრძნობლად დააგვიანა, თანაც თოფები მონაწილეებს ისე დაურიგეს, რომ სპეციალისტს არ შეუმოწმებია, ამიტომაც ზოგიერთი შაშხანა ტყვიებს კარგავდა. როცა მსაჯთა კოლეგია საკუთარ შეცდომაში დარწმუნდა, ზოგიერთ დაზარალებულს ხელახლა სროლის უფლება დართო, რამაც ყველა გუნდი უთანაბრო პირობებში ჩააყენა. ამას ისიც დაერთო, რომ ტირში სინათლე ჩაქრა, რამაც ისედაც განერვიულებული მონაწილენი მოთმინებიდან გამოიყვანა.

ეს ყველაფერი შეჯიბრების ორგანიზაციული მხარეა. მაგრამ ამით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავამართლოთ ის ფაქტი, რომ 120 მონაწილიდან უკანასკნელ სახეობამდე — კროსამდე ბრძოლას 77 სპორტსმენი გამოეთიშა ამა თუ იმ სახეობაში დაბალი შეფასების გამო, კროსმა კი ისინი საბოლოოდ გაცხრილა, ამიტომაც მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ყველა ნორმატივში სათანადო შეფასება ერთეულებმა თუ მიიღეს.

სპორტსაზოგადოებებს III და IV საფეხურების ყველა ასაკობრივ ჯგუფში 3-3 მონაწილე გამოყავდათ, V საფეხურზე — თითო ქალი და თითო კაცი. ერთი სიტყვით, სპორტსმენთა სიმცირეზე ლაპარაკიც ზედმეტია, ფინიშთან კი მხოლოდ ერთეულები მოვიდნენ, მაგალითად, ვაჟთა შორის IV საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში ერთადერთი ვ. სუხინენკო („განთიადი") იყო, რომელიც ნულის გარეშე გადარჩა, მრავალჭიდში 91 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა. მის თანაგუნდელ ნ. ახალშენიშვილს კროსამდე 85 ქულა ჰქონდა, კროსში ამაოდ გაისარჯა, დინამოელი ვ. ჭარბაძე კი 3000 მეტრზე რბენის სტარტზე არც გამოცხადდა.

ქალთა შორის V საფეხურის კომპლექსის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში მარტო თ. როჟმანოვამ („შრომითი რეზერვები") შეძლო ტურნირის ფინიშზე მისვლა — 69 ქულა. ვაჟთა შორის მ. კოგანმა — 96, III საფეხურის ნიშნოსნებში კლავდია გუნბამ (ორივე — „განთიადი") — 85, რომელმაც ერთი თვის უკან პროფკავშირთა სპარტაკიადაში 105 ქულა მიიღო, თუმცა მისთვის ესეც უკმარია.

და მაინც, ორიოდე სპორტსმენი გამოჩნდა, რომლებიც იმედს იძლევიან. ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლემ თ. ტუაევმა IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენთა შორის უკან ჩამოიტოვა მ. ქათამაძე („განთიადი") და ისე როგორც დინამოელმა ა. ფალეევმა, 105 ქულა მოაგროვა, ტუაევი II ადგილს დასჯერდა, რადგან მეტოქესთან კროსი წააგო.

სპეციალისტები ტუაევს და თბილისის 56-ე სკოლის მეათეკლასელ დ. კამენსკის, რომელმაც მრავალჭიდში წვრთნა ხუთიოდე თვის უკან დაიწყო, კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ეს ჭაბუკი ცურვასა და მძლეოსნობაში მეორეთანრიგოსანია და ახლა მშდ მრავალჭიდშიც მეორე თანრიგოსანი გახდა. იგი ამ შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის" სახელს იცავდა, გ. ჯარაშნელთან („შრომითი რეზერვი" — 99 ქულა) 5 ქულა წააგო და II ადგილზე გავიდა.

ქალთა შორის IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვა კლარა გუნბამ („განთიადი") — 107 ქულა, ხოლო მეორე ასაკობრივ ჯგუფში — ლ. შუმილინამ („კოლმეურნე") — 94.

გუნდური შედეგები: „განთიადი" — 629 ქულა, „შრომითი რეზერვები" — 505, „კოლმეურნე" — 465, „ბურევესტნიკი" — 273, „სპარტაკი" — 181, „ლოკომოტივი" — 56.

გუნდური შედეგებიც ნათლად ადასტურებენ, თუ როგორი იყო თბილისელ სპორტსმენთა მაჩვენებლები ერევნის საკავშირო სტარტამდე ხუთი თვით ადრე.

საგანგაშო სიგნალებია!

ო. გელაშვილი.




# მძლავრი „დინამო"

**ბათუმში** სამ დღეს გაგრძელდა აჭარის პირად-გუნდური შეჯიბრება მშდ-ს მრავალჭიდში. მონაწილეობდნენ „დინამოს", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „ვოდნიკისა" და „კოლმეურნეს" კოლექტივები.

გუნდური გამარჯვება „დინამოს" მძლავრმა კოლექტივმა მოიპოვა, რომელმაც 783 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა „ვოდნიკი" — 320, III — „კოლმეურნე" — 217.

გუნდური შედეგები მეტყველებენ, რომ „დინამოს" სპორტსმენთა გარდა სხვა საზოგადოებების წარმომადგენლები ტურნირისთვის ცუდად იყვნენ მომზადებულნი, ამიტომაც პირად პირველობაში თითქმის ყველა საპრიზო ადგილი დინამოელებს ერგოთ.

მესამე საფეხურის კომპლექსის ნიშნოსანთა ასპარეზობა გოგონათა შორის ი. კუჭუხიძემ (97 ქულა) მოიგო, მომდევნო ადგილებზეც დინამოელები ე. აბრამოვა (96) და ო. ერმაჩენკოვა (92) გავიდნენ.

ჭაბუკებშიც უპირატესობა დინამოელებს ხვდათ წილად. ი. ციბამ 117 ქულა მოაგროვა, ნ. კიკალეიშვილმა და გ. ლორთქიფანიძემ შესაბამისად 107 და 101.

ქალთა შორის მეოთხე საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონი გახდა ტ. შტუკატუროვა („დინამო"). ვაჟებში ოთხი სახეობის მერე 91 ქულით განთიადელი ა. კრეტინინი ლიდერობდა, მაგრამ იგი 3000 მეტრზე კროსის სტარტზე არ გამოცხადდა, ამიტომაც გამარჯვება 89 ქულით დინამოელ მ. მალინინს დარჩა.

მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში ქალთა პირველობა არ გათამაშებულა (მონაწილე არ იყო), ვაჟებში იმარჯვა სპორტის ოსტატმა ვ. ზაბოლოტნიმ („დინამო") — 105.

ძალზე დაბალი იყო მეხუთე საფეხურის კომპლექსის ნიშნოსანთა შედეგები. ქალებში პირველ ადგილზე გამოსულმა ო. ვოლკოვამ („სპარტაკი") 43 ქულა ძლივს მოაგროვა, ხოლო ვაჟებში ვ. ბარაბაშმა („ვოდნიკი") 73 ქულა დაიმსახურა.

მ. ომიაძე.
(ჩვენი კორ.).

## როგორ გვემსახურებიან?

# როცა ტურისტი ვერ ტურისტობს

საქართველოში მდიდარი ბუნებრივი პირობებია ტურიზმის განვითარებისთვის. იგი არც ქვეითი ტურიზმის მოყვარულთა წინაშეა ვალში და არც სამთო ტურიზმის მიმდევართა წინაშე. ჩვენს მდინარეებზე ვერც საწყლოსნო ტურიზმით გატაცებულნი იტყვიან აუგს. ახლა რესპუბლიკის ბუნებრივ მღვიმეებს აღარ იკითხავთ, სპელეოსპორტის თაყვანისმცემლებს რომ უხმობენ?

ერთი სიტყვით, აქტიური დასვენების მოყვარულთათვის ბუნებას სწორედ საქართველოში დაუბერტყავს თავისი მადლიანი კალთა. აი, სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს მთა-ბარს უამრავი ტურისტი სერავს, რომლებიც ჩამოსულან ბალტიისპირეთიდან თუ ციმბირიდან, შორეული აღმოსავლეთიდან თუ ჩრდილოეთ კავკასიიდან, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებიდან თუ ვინ მოთვლის კიდევ საიდან.

სულ ახლახან ვიუწყებოდით, რომ გასული წლების ოფიციალური მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოსულ ტურისტთა და ექსკურსანტთა რიცხვმა გადააჭარბა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის დამთვალიერებელთა რიცხვს ერთად აღებულს, აგრეთვე, გადააჭარბა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში ჩასული ტურისტების რიცხვს ერთად აღებულს.

ეს ერთობ მრავლისმეტყველი ფაქტებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ტურისტებიც ხშირი სტუმრები არიან ჩვენი მშობლიური ველ-მინდვრების, მყინვარების, ბობოქარი მდინარეებისა თუ კარსტული გამოქვაბულებისა. პირიქით, საქართველოს ტურისტები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან საკავშირო სტანდარტებს. **ამისი ერთ-ერთი მიზეზი კი საჭირო საჭურვლის უქონლობაა.** აბა, შეიხედეთ სპორტსაქონლით მოვაჭრე ჩვენს მაღაზიებში. რას ნახავთ იქ? სასიხარულოს ბევრს ვერაფერს. ტურისტული საჭურველი მაღაზიებში ერთობ იშვიათად გამოჩნდება ხოლმე: და რაც დახლებზე აწყვია, ისიც ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო ტურისტული სეზონი. მოგზაურობის ბევრმა მოყვარულმა გადაწყვიტა ახალი საჭურველი შეიძინოს. ბევრსაც ახლა აღეძრა სურვილი ტურისტად მოგვევლინოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა და გვენახა, თუ რა ტურისტული საჭურველი აწყვია თბილისის სპორტსაქონლის მაღაზიებში.

რუსთაველის პროსპექტზე არის თბილისელთათვის კარგად ნაცნობი მაღაზია, რომელსაც „ტურისტი" ჰქვია. ბუნებრივია, პირველად მას ვეწვიეთ. სამწუხაროდ, „ტურისტმა" იმედი ვერ გაგვიმართლა. აქ ვერაფერი ვნახეთ ტურისტული, ზურგჩანთისა და კომპასის გარდა. შემდეგ სხვა მაღაზიებსაც ჩამოვუარეთ. უკეთესი სურათი არც **ლენინის რაიონში მდებარე ავტომოტონაწილების მე-8 მაღაზიის 1-ლ ფილიალში დაგვხვდა,** რომელიც სპორტული საქონლით ვაჭრობს. მაღაზიაში ერთ-ერთმა გამყიდველმა გვითხრა, რომ რაც მე აქ ვმუშაობ, ტურისტული საჭურველი არ მინახავსო. ის კი ბარე ერთი წელი იქნება, რაც იქ მუშაობს.

იმ სპორტვაჭრობის მაღაზიებიდან, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ტურისტული საჭურველით ყველაზე უკეთ **„განთიადი", „დინამო"** და განსაკუთრებით **„ლელოა"** მომარაგებული. ისინი შედარებით მართლაც კარგად შეხვდრიან ახალ საზაფხულო ტურისტულ სეზონს.

მათ თითქმის ყველაფერი აქვთ. სხვადასხვა ფასიანი და ადგილიანი კარვები, საძილე ტომრები, ზურგჩანთები, გასაბერი ლეიბები, კომპასები, ტურისტული ნაჯახები, დანები, ჭურჭელი... აქ არც თევზაობის მოყვარულნი არიან დავიწყებულნი.

სამწუხაროდ, საწყლოსნო ტურიზმის მოყვარულთ ვერც ეს მაღაზიები გაახარებენ, მათთვის მართლაც რომ სანთლით საძებარია ტურისტული ბაიდარები „სალუტ-2", „სალუტ-3", „რზ"-ს ტიპის ბაიდარები: 85-3, 85-1, 85-2, აგრეთვე პსნ-ს ტიპის გასაბერი ნავები. აქვე უნდა ითქვას, რომ ის ზურგჩანთები, კარვები და საძილე ტომრები, რომლებიც თბილისის მაღაზიებში ვნახეთ, ხარისხით ვერ დაიტრაბახებენ. გამოცდილი ტურისტი, მაგალითად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძენს ისეთ ზურგჩანთას, როგორებიც იყიდება „განთიადში", „ლელოში", „სინათლეში", „დინამოში" ან სხვაგან. საქმე ის არის, რომ ეს ზურგჩანთები არც ტევადობით გამოირჩევა, არც მოხერხებულობით და, ამასთან, საკმაოდ შეუხედავებიცაა. მაგრამ, ყოველივე ამაში ბრალი, რა თქმა უნდა, მაღაზიებს არ მიუძღვით. მთავარი დამნაშავენი **ფაბრიკებია.**

**აი, აქ კი მივადექით კიდევ ერთ პრობლემას — მთელ რესპუბლიკაში არ გვეგულება ერთი ფაბრიკა, რომელიც ტურისტულ საჭურველს ამზადებს** ნუთუ ასე ძნელია საქართველოში ერთი ფაბრიკის გამოყოფა, რომელიც ტურისტებს გაახარებდა მოხერხებული, მსუბუქი, წყალგაუმტარი და მოხდენილი საჭურველით?

მაგრამ, მოდით, ისევ თბილისის სპორტვაჭრობის მაღაზიებს დავუბრუნდეთ. „კრილია სოვეტოვში" უფროსმა გამყიდველმა ა. ლაბაძემ გვითხრა, ჩვენი მაღაზია ერთადერთია, რომელიც სპორტული საქონლით გადარიცხვით ვაჭრობს. გვაქვს კარვები, ზურგჩანთები, ორადგილიანი საძილე ტომრები და სხვა ტურისტული საქონელიო. მაგრამ, როდესაც ვთხოვეთ ეჩვენებინა ის ორადგილიანი საძილე ტომარა, გვითხრა, დალუქულია, გახსნა არ შეიძლებაო. საოცარია, მომხმარებელმა როგორღა უნდა შეიძინოს საქონელი, თუ არ ნახა და გასინჯა?

სხვათა შორის, თბილისის სპორტვაჭრობის მაღაზიებში ტურისტს კარვის შეძენაც გაუჭირდება, და არა მხოლოდ კარვისა. საქმე ის არის, რომ კარვები ყველგან დაკეცილია. **ნუთუ არ შეიძლება თბილისში გამოიყოს ერთი მაღაზია მაინც, სადაც თვალსაჩინოებისთვის გაშლილი იქნება კარვები თავისი ყველა კომფორტით.** ასეთი პრაქტიკა აქვთ, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკების სპორტსაქონლის მაღაზიებს.

დასასრულ, ისღა დაგვრჩენია, იმედი გამოვთქვათ, რომ ტურისტების გულის გასახარად ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებებს დროულად მოევლება. იმედს გვიმტკიცებს ისიც, რომ სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციებში ტურიზმმა დიდი აღიარება ჰპოვა. კერძოდ, საქართველოს სსრ კონსტიტუციაში წერია, რომ „**საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება ამ უფლებებს უზრუნველყოფს კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება**".

ტურიზმის განვითარება კი წარმოუდგენელია, თუ საჭურველი სანთლით საძებარი გვექნება.

ა. გურასაშვილი.

# ტრადიციული სამატჩო...

**გ. ძნელაძის** სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სპორტულ ბაზაზე გაიმართა ლენინგრადის, კიევის, რიგის, ტალინის, ლიეპაიას, ლვოვისა და თბილისის პიონერთა სასახლეების ტრადიციული სამატჩო შეხვედრა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელიც საკავშირო ალკკ 60 წლისთავს მიეძღვნა.

ასპარეზობაში ოსტატთა პროგრამით მონაწილეობდა 70 ტანმოვარჯიშე. უძლიერესი იყო ლვოველი ტატიანა ვარივოდა. მეორე ადგილზეა თბილისელი ნინო ჭაუასელი, მესამეზე — რიგელი დაიგა ლაპინია.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: რიგა, ლიეპაია, თბილისი.

ჯ. ჯანაშია.

# ჩვეულები ლიდერის გზაზე

დასასრული

...ანზე გაშლა, რათა ცენტრში ...-ფეხი გახსნოდათ შენგელიასა ...ყიფიანს (ორივეს აჩრდილები ...დაჰყვებოდნენ ყულამოვი და ...უჯევი). ბუნებრივია, ეს მისია ...ცავის გარდა განაპირა ნახევარმცველებს უნდა ეკისრათ. არც ...რიძესა და არც ჩივაძეს საამისო ძალა არ ეყოთ.

...მ დღეს არც სწრაფი იერიშები ...ოუვიდათ დინამოელებს — ...ძელი, სოლისებრი გადაცემები ...ა და რაც მთავარია, უზუსტო ...ო (ჩელებაძე ბურთის დამორჩილებაში ჰკარგავს დროს, მაჩაიძე — პარტნიორის ძებნაში. თუმცა ...ც უნდა ითქვას, რომ მეტოქის მეურვეობისაგან დროზე გათავისუფლებისთვის არც თავდამცველები იტკივებენ თავს). აზერბაიჯანელ ფეხბურთელებს „ისლა ...რჩენოდათ", რომ მშვიდად დაბრუნებულიყვნენ საკუთარ საჯარიმოში და მშვიდადვე მოეგერიებინათ თბილისელთა დუნე იერიშები.

...რახმანოვი და ყუბანოვი „უმეთვალყუროდ დასეირნობენ" მინდორზე. მათი მოქმედების არის შეზღუდვა არცერთ ჩვენს ნახევარმცველს არ უფიქრია. ამის გამოა, რომ „ნეფთჩი" საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება მინდვრის შუაგულში. ამ ზონაში ბაქოელები ხანგრძლივად, თითქმის დაუბრკოლებლად ათამაშებენ ბურთს, აქედანვე იწყება მასპინძელთა კარის იერიშიც.

მოსალოდნელი იყო, რომ უსახური პირველი ტაიმის შემდეგ „დინამო" აგრესიულად ამოქმედდებოდა. მოლოდინი არ გამართლდა — მასპინძლებმა იმავე ტემპში განაგრძეს თამაში. მეტისმეტი სიმშვიდიდან ინერტულობამდე კი ნაბიჯილაა. ეს ინერტულობა მერე ვერა და ვეღარ გადალახა გუნდმა.

რა თქმა უნდა, ამ მატჩის მიხედვით კარგი არ ეთქმის მაჩაიძის, ყიფიანის, შენგელიას, ქორიძის თამაშს. სხვათა ჩამოთვლაც შეიძლება, მაგრამ როცა შესაძლებლობების მინიმუმსაც ვერ ავლენს არა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, არა რომელიმე რგოლი, არამედ უკლებლივ ყველა მოთამაშე, მაშინ ძნელიც არის ტაქტიკურ შეცდომებზე საუბარი თუ ერთ რომელიმე ნაკლზე ყურადღების გამახვილება. და მაინც, ამ მატჩმა თუ მართლაც გაგვიჩინა სერიოზული საფიქრალი, უთუოდ იმიტომ, რომ საამისო საფუძველი ადრეც იყო და იმის საშიშროებაც არის, მომავალ მატჩებშიც გაჰყვეს გუნდს. მხოლოდ ამ თვალსაზრისით, თორემ ერთ, თუნდაც უნიათოზე უნიათო მატჩს კაცი როგორმე გაუძლებდა და არც სალაპარაკოს გახდიდა.

ერთი შეხედვით ძალზე სუსტად ითამაშეს მცველებმა. ფაქტიურად ასეც იყო („დინამოს" კართან არა ერთი და ორი საგოლე მომენტი შექმნეს სტუმრებმა), მაგრამ ეს შედეგია. მიზეზი კი სულ სხვაა. უკვე მერამდენე მატჩია, სუსტად თამაშობს თბილისელთა ნახევარდაცვა. ეს ცალკეულ ფეხბურთელებსაც ეხებათ და მთლიანად ამ რგოლის დაკომპლექტება-მოქმედებასაც.

მატჩს ვერ გაიხსენებთ, რომ ეს ზონა დასაწყისიდან დასასრულამდე სტაბილური დარჩეს. თამაშის გეგმისა და ნახაზის შეცვლა უშუალოდ მატჩის დროს, რა თქმა უნდა, დასაშვებია, თუმცა მხოლოდ მაშინ, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს. მაგრამ თუ ამგვარი იმპროვიზირება გამუდმებით ინერგება და ბოლოს სისტემაშიაც გადადის, მას სათანადო გამართლება უნდა ჰქონდეს.

უთუოდ სწორი იყო კიევის „დინამოსთან" მატჩში ყიფიანის მეოთხე ნახევარმცველობა, შემდეგ წინ წაწევა და ბოლოს ისევ ნახევარმცველად ქცევა. ამ ხერხმა თუ ტაქტიკამ გაამართლა რიგ მატჩებშიც.

სეზონის დასაწყისიდან გუნდის ნახევარდაცვის სამეული (ქორიძე, მაჩაიძე, ჩივაძე) თითქმის უცვლელად თამაშობს (ფაქტია, რომ წმინდა ნახევარმცველის მოვალეობას ბოლომდე და განუხრელად ყიფიანი არასოდეს ასრულებს, ეს არც გუნდის სათამაშო გეგმაშია გათვალისწინებული). შარშან ეს რგოლი იცვლებოდა კიდეც და ხშირად ოთხ საშტატო ერთეულსაც ითვლიდა. სუსტია მეტოქე თუ ძლიერი, ერთი რამ აშკარაა — თბილისელებს უჭირთ სამი ნახევარმცველით თამაში, მით უმეტეს ახლა, როცა არც მაჩაიძეა მისთვის ჩვეულ ფორმაში, არც ქორიძე. ჩივაძეზე კი ზედმეტი ტვირთის მოკიდება, მისი წმინდა ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცოტა არ იყოს სარისკოა.

გამოსავალი ყოველთვის შეიძლება მოინახოს. თუ რა გზას აირჩევენ, რა საშუალებას მიმართავენ გუნდის მწვრთნელები, უკვე შემდეგ მატჩში შეიძლება გამოჩნდეს.

**ი. ბერიაშვილი.**

• • •

**სურათზე:** რ. შენგელია აკრძალული ილეთით შეაჩერეს მეტოქის მცველებმა — პენალტი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.



# მეორე ლიგა

**17 მაისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები ამ შეხვედრათა შესახებ ტელეფონით გვატყობინებენ:

## „დინამო" (ბათუმი) — „დილა" (გორი) 1:0

ბათუმელებს ამ მატჩში აკლდათ ძირითადი შემადგენლობის 4 მოთამაშე, რამაც საგრძნობლად შეასუსტა გუნდის რიგები. მიუხედავად ამისა, კოკისპირული წვიმის შედეგად ატალახებულ მინდორზე გუნდმა სწრაფად დაიწყო თამაში, სტუმრების დაცვას და მეკარე ბერიძეს თავიდანვე მძიმე სამუშაო დააწვათ თავს. კერძოდ, ბერიძემ მე-18 წუთზე ბექანიძის უძლიერესი დარტყმა აიღო, მერე კი აშკარა გოლს გადაარჩინა თავისი გუნდი გელაპეიშვილის გარღვევის შემდეგ.

დინამოელებს იერიშები არ შეუნელებიათ მეორე ტაიმშიც, მაგრამ დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა. მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი, თითქოს მეტოქეებს თანაბრად უნდა გაეყოთ ქულები და ამ დროს გორელებმა თავიანთი კარიდან დაახლოებით 25 მეტრის მანძილზე უხეშად ითამაშეს ბექანიძის წინააღმდეგ. საჯარიმო დარტყა ბექანიძემ, ბერიძემ მოიგერია ბურთი, მაგრამ იგი აღმოჩნდა ბათუმელთა დებიუტანტ იაკოვლევთან, რომლის დარტყმა ზუსტი გამოდგა — 1:0.

**ო. მურვანიძე.**

## „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (სოხუმი) 2:4

მცირე ხნის ორმხრივი იერიშების შემდეგ ინიციატივას სოხუმელები დაეუფლნენ და თუმცა მასპინძლები ცდილობდნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა, თამაშის სურათის შეცვლა მათ ვერ შეძლეს. დინამოელთა ერთ-ერთი იერიშისას კარგად ითამაშა ლოგუამ, გაიჭრა წინ და გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა" გაითამაშა კომბინაცია, ჩომახიძე — ბახტაძე — კობრავა, რომელიც საპასუხო გოლით დამთავრდა. თითქოს, გამოჩნდა მდგომარეობის ხსნის პერსპექტივა, მაგრამ სოხუმელებმა არ დათმეს უპირატესობა, მათი სწრაფი, გრძელი გადაცემების წინაშე მასპინძელთა დაცვა ვერ იბრძოდა სათანადო ეფექტურობით. მალე ქანთარიამ და ბოხაშვილმა თითქმის ზედიზედ გაიტანეს 2 გოლი და 56-ე წუთისთვის „დინამო" წინ გავიდა — 3:1. წარმატებით გამხნევებული სტუმრები კვლავ და კვლავ უტევდნენ, რის შემდეგაც 73-ე წუთზე ხოშტარიამ მეოთხედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

სამტრედიელებმა მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ შეამცირეს განსხვავება ანგარიშში: ქორიძემ შეძლო 11-მეტრიანი დარტყმის ზუსტად გამოყენება.

სოხუმელთა თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ხოლო რაც შეეხება „ლოკომოტივს", იგი ამ დღეს მოქმედებდა უსისტემოდ, უპასუხისმგებლოდ, შეცდომებით.

**ა. სირაძე.**

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:1, „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) „კოტაიკი" (აბოვიანი) 3:1, „ხაზარი" (ლენქორანი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:1, „ტორპედო" (ტოლიატი) — „გასტელო" (უფა) 3:1, „გაზოვიკი" (ორენბურგი) — „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:1, „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — „დინამო" (კიროვი) 1:0, „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) — „ზვეზდა" (პერმი) 0:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 მაისისთვის

II ლიგა, IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი" | 12 | 9 | 1 | 2 | 18—5 | 19 |
| „შირაკი" | 12 | 7 | 4 | 1 | 21—11 | 18 |
| „ლოკომოტ." | 12 | 6 | 2 | 4 | 17—17 | 14 |
| „ყარაბახი" | 12 | 6 | 2 | 4 | 14—9 | 14 |
| „დინამო" ბ. | 12 | 6 | 2 | 4 | 14—10 | 14 |
| „დინამო" ს. | 12 | 5 | 4 | 3 | 17—13 | 14 |
| „დინამო" ზ. | 12 | 5 | 4 | 3 | 16—9 | 14 |
| „გურია" | 12 | 5 | 4 | 3 | 16—12 | 14 |
| „ზვეზდა" | 12 | 5 | 4 | 3 | 15—7 | 14 |
| „ზენიტი" | 12 | 5 | 4 | 3 | 12—9 | 14 |
| „ურალეცი" | 12 | 5 | 3 | 4 | 14—20 | 13 |
| ფიზკ. ინსტ. | 12 | 4 | 5 | 3 | 13—12 | 13 |
| „ტორპედო" | 12 | 4 | 4 | 4 | 12—8 | 12 |
| „ტურბინა" | 12 | 5 | 1 | 6 | 15—23 | 11 |
| „გასტელო" | 12 | 5 | 1 | 6 | 14—16 | 11 |
| „დრუჟბა" | 12 | 4 | 3 | 5 | 14—11 | 11 |
| „გაზოვიკი" | 11 | 4 | 3 | 4 | 13—10 | 11 |
| „დილა" | 12 | 2 | 6 | 4 | 10—13 | 10 |
| „დინამო" კრ. | 11 | 4 | 1 | 6 | 10—13 | 9 |
| „რუბინი" | 12 | 2 | 5 | 5 | 9—15 | 9 |
| „ავტომობ." | 11 | 4 | 0 | 7 | 9—16 | 8 |
| „ხაზარი" | 12 | 3 | 2 | 7 | 10—18 | 8 |
| „პროგრესი" | 11 | 2 | 1 | 8 | 11—20 | 5 |
| „არაზი" | 12 | 1 | 2 | 9 | 10—27 | 4 |

ძიუდოობა

# დუშეთში, სამბისტთა პირველობაზე

**სამბისტთა** რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც დუშეთში გაიმართა, 250 ...ზე მეტმა მოიყარა თასპორტსმენები ოთხი დღის ...ველობაში ასპარეზობდნენ.

...მართალია, დუშეთის რაიონის ...ხელმძღვანელობამ ჯეროვნად იზ...ა შეჯიბრების კარგად ჩატარებისთვის, მაგრამ... მონაწილენი ...ხოვრობდნენ ბაზალეთის ტურ...ბაზაში, იქ კი ციოდა, სპორტსმე...ები სამართლიან უკმაყოფილებას ...გამოთქვამდნენ. არ იყო ცხელი ...ლი და ა. შ. ამ საკითხების მო...გვარება რაიონის სპორტკომიტეტს ...უთუოდ შეეძლო.

...პრიზით საუკეთესო ტექნიკის ...მფლობელისთვის დაჯილდოვდა ...ველი თ. იაძე (მწვრთნელი ლ. ...შვილი), ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვებისთვის კი თბილისელი ნ. მალვენიშვილი.

პირველი ადგილი თბილისის ნაკრებმა მოიპოვა, მეორე იყო აჭარის, მესამე — რუსთავის მოჭიდავეთა კოლექტივი.

გთავაზობთ საქართველოს 1978 წლის პირველობის პრიზიორებს ...დობა სამბოში.

**48 კგ.** ზ. კაკალაძე (აჭარა), გ. ...რგაძე (კასპი), ვ. მანუჩაროვი (თელავი), ს. ტერნოვიხი (აფხაზეთი).

**52 კგ.** ჯ. ყულეჯიშვილი (აჭარა), თ. ჩუბინიძე (თბილისი), ზ. ხვედელიძე, ვ. ვაჩიბერიძე (ორივე — ქუთაისი);

**57 კგ.** ვ. ისმაილოვი, ე. ბაბასიანი (ორივე — თბილისი), გ. მეშველიანი (ლენტეხი), თ. კურდღელაშვილი (საგარეჯო);

**62 კგ.** დ. გელიაშვილი, კ. გარაქლოვი (ორივე — თბილისი), გ. ფოთოლაშვილი (თელავი), რ. სისაური (თბილისი);

**68 კგ.** კ. არაბული (თბილისი), ი. გოგოლაძე (რუსთავი), მ. ლოსეურაშვილი (თბილისი), თ. ჯველაური (თელავი);

**74 კგ.** გ. ძმიაშვილი, ვ. კარიაული (ორივე — დუშეთი), ო. იაძე (კასპი), გ. გამგებელი (გორი);

**82 კგ.** მ. ალბორიშვილი, ვ. ბაშარული (ორივე — თბილისი), ა. სინჯარაძე (დუშეთი), გ. გაგლოშვილი (თბილისი);

**90 კგ.** ნ. მალვენიშვილი (თბილისი), მ. კაჭარავა (აფხაზეთი), ტ. ჩხუტიაშვილი (დუშეთი), დ. მაღალთაძე (თბილისი);

**100 კგ.** ჯ. ჩიხრაძე (რუსთავი), ა. ბრეხოვი (ქუთაისი), რ. ჩაჩაური (თელავი), ა. ბორჩაშვილი (თბილისი);

**მძიმე.** გ. ქამხაძე (თბილისი), ა. კახაძე (ქუთაისი), გ. მელიქიძე (თბილისი), გ. დევაძე (აჭარა).

**ჭ. ნინიაშვილი,**

**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# ერთი შეჯიბრების შუქ-ჩრდილები

**ამ დღეებში** ქუთაისის სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ფარიკაობაში. საასპარეზოდ გამოვიდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, წყალტუბოსა და ზესტაფონის 160-მდე მუშკეტერი.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის საუკეთესო მოფარიკავეები ა. კიკნაძე, გ. აბაშიძე, მ. ჯილაური, თ. ჩიხლაძე და თ. ბობოხიძე საკავშირო შეკრებაზე არიან და ჩვენი ქვეყნის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა პირველობისთვის ემზადებიან, ამიტომაც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღეს. მიუხედავად ამისა, საფარიკაო ბილიკებზე ცხარე ორთაბრძოლები გაჩაღდა.

პირველად საასპარეზოდ გამოვიდნენ ხმლით მოფარიკავეები. აქ ყველას აჯობა გამოცდილმა თბილისელმა სპორტის ოსტატმა თ. ესართიამ, რომელმაც ჩინებულად წარმართა ფინალური ორთაბრძოლები. II ადგილი ასევე თბილისელმა სპორტსმენმა ი. სიფრაშვილმა მოიპოვა, III იყო აჭარის ნაკრები გუნდის წევრი თ. მორჩილაძე.

რაპირისტ ქალთა შორის I ადგილი დაიკავა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა მანანა ხიდაშელმა, II იყო ნაირა ფოლადაშვილი, ხოლო III — ტატიანა გერასიმოვიჩი (ორივე — თბილისი).

დაშნით მოფარიკავეთა შორის საასპარეზოდ 45 სპორტსმენი გამოვიდა. რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი დ. დავითაშვილი, მომდევნო საპრიზო ადგილებიც დედაქალაქელმა მუშკეტერებმა — ი. სიხარულიძემ და ლ. კირკიტაძემ დაისაკუთრეს.

უკანასკნელ პერიოდში ნაყოფიერად მუშაობს თბილისის პიონერთა სასახლის რაპირისტ ვაჟთა სექცია, რომელსაც ბ. მათითაშვილი ხელმძღვანელობს. აქაური მოფარიკავეები რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ირიცხებიან და წარმატებით გამოდიან სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ბ. მათითაშვილის აღსაზრდელებმა ქუთაისშიც გამოიჩინეს თავი; სპორტის ოსტატმა ა. ბუზუკაშვილმა საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მეორე იყო მისი თანაგუნდელი რ. ხუციშვილი, III ადგილი ქუთაისელმა რაპირისტმა ვ. გოქაძემ დაისაკუთრა.

სამწუხაროდ, შეჯიბრებას ჩრდილი მიაყენა თბილისელი მოფარიკავეების, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატის რ. გიორგაძისა და მ. გუგუშვილის (ორივე სპორტსმენი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრია) არასპორტულმა საქციელმა. მსაჯის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა მ. გუგუშვილმა შეჯიბრების წესებით აკრძალული ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს, არც რ. გიორგაძე დარჩა „ვალში" — საფარიკაო იარაღი სახრესავით დაარტყა მოწინააღმდეგეს. ერთი სიტყვით, სპორტული პაექრობა ხულიგნობაში გადაიზარდა. მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი თ. ოყროშიძე) ორივე სპორტსმენი დაუყოვნებლივ მოხსნა შეჯიბრებიდან.

ბოლოს გაიმართა გუნდური შეხვედრები.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 465 ქულა; ქუთაისი — 199 ქ; რუსთავი — 157 ქ.

**დ. გიგიაძე.**

• • •

**საქართველოს სპორტკომიტეტმა იმსჯელა ქუთაისში გამართულ მოფარიკავეთა რესპუბლიკურ პირველობაზე თბილისელი სპორტის ოსტატების, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრების რ. გიორგაძისა (მწვრთნელი ნ. ძაგანიშვილი) და მ. გუგუშვილის (მწვრთნელი ტ. მესხი) მიერ ჩადენილი ულირსი საქციელის თაობაზე.**

**სპორტკომიტეტის ბრძანებით ორივე სპორტსმენი პირობითად დისკვალიფიცირებულია ერთი წლით, ხოლო მათ მწვრთნელებს მიეთითათ.**

ფარიკაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიდაობა

### ამიერკავკასიის არმიელთა წარმატება

**კიევში** ჩატარდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა სამბოში. ხალიჩაზე 140 ფალავანი გამოვიდა.

კარგად იასპარეზეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრების სპორტსმენებმა, რომლებმაც 7 საპრიზო ადგილი დაიკავეს. გუნდი ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. I ადგილზეა ა. ოქროპირიძე (82 კგ), მეორეზე — ზ. ზურაბაშვილი (57 კგ), დ. ბოდაველი (82 კგ), მესამეზე — ს. როსტიაშვილი (48 კგ), ს. ფეიქრიშვილი (90 კგ), ა. მუზაევი (100 კგ), გ. ონაშვილი (მძიმე).

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ჩემპიონებმა აკაკი ოქროპირიძემ და დავით ბოდაველმა შესანიშნავად ჩაატარეს წინასწარი შეხვედრები, ყველა მოწინააღმდეგე ჩამოიშორეს გზიდან და ფინალში გავიდნენ, სადაც გაინაწილეს კიდეც ოქროც და ვერცხლიც.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა კიევის სამხედრო ოლქის გუნდმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდი II ადგილზეა. თუმცა, საერთო გუნდური გამარჯვება მაინც ამიერკავკასიის გუნდს ხვდა, ვინაიდან მანამდე ახალგაზრდულ პირველობაში დაკავებული ჰქონდა I ადგილი. კიევის სამხედრო ოლქის გუნდმა მეორეზე გადაინაცვლა.

დღეიდან შეიარაღებული ძალების ნაკრები შეკრებას იწყებს მოსკოვში, ამ გუნდში ჩვენი რესპუბლიკის ყველა ის მოჭიდავეც არის შეყვანილი, რომლებმაც საპრიზო ადგილები მოიპოვეს. 12 ივნისს კი ტაშკენტში დაიწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი.

**ს. ჩიტაშვილი,**
ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

**გ. კახაბრიშვილი,**
გუნდის მწვრთნელი.

### საბჭოთა სპეციალისტის დახმარებით

იაპონიაში ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში პოპულარული გახდა ჰოკეი. დღეისთვის აქ 500-მდე გუნდში 30000 სპორტსმენი თამაშობს. როგორც იაპონიის სპორტული კავშირის წარმომადგენელმა ტ. სუიტომ განაცხადა, ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით უცხოელ მწვრთნელებს, რომელთა შორის აღსანიშნავია საბჭოთა სპეციალისტი, წარსულში ცნობილი ჰოკეისტი სტარშინოვი. იაპონელებს განზრახული აქვთ მომავალი სეზონისთვის კანადელი მწვრთნელების მიწვევაც.

## „არწივმა" სძლია „მასისს"

**ამას** წინათ რუსთავში, საქართველოს დოსააფ-ის ცენტრალური კომიტეტის სპორტტექნიკური კლუბის ბაზაზე გაიმართა სპიდვეიში (წიდოვან ბილიკზე მოტორბოლა) საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა თბილისის „არწივსა" და ერევნის „მასისს" შორის.

ასპარეზობის პირველ დღეს გუნდურ ტურნირში თბილისელებმა იმარჯვეს — 75:32. მეორე დღეს გაიმართა პირადი შეჯიბრება. სულ ამ დღეს 13 რბოლა მოეწყო. სამივე საპრიზო ადგილი „არწივის" გუნდის წევრებმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ვ. ზარუცკიმ, თ. ნოზაძემ და პირველთანრიგოსანმა თ. გოზალოვმა დაიკავეს.

სტუმრებიდან საუკეთესო გახლდათ პირველთანრიგოსანი ვ. ალექპეროვი, რომელიც IV ადგილზე გავიდა.

**ო. კიკნაველიძე,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

**სურათზე:** შეჯიბრების მომენტი.



## მონაწილეობს ათი გუნდი

**28 აპრილს** დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში „ა" კლასის პირველი ლიგის გუნდებს შორის. დებულების თანახმად, შეჯიბრებაში მონაწილეობს 10 გუნდი: „ვოლნა" (ლენინგრადი), „სიბსელმაში" (ნოვოსიბირსკი), ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ერევანი), „ფოლადი" (სუმგაითი), „პოლიტეხნიკი" (ტაშკენტი), „ხიმიკი" (ფერგანა), „სტარტი" (ლენინსკი), „შრომითი რეზერვები" (ლენინაკანი), „ხოსფლოტი" (დუშანბე), „ლოკომოტივი" (ქუთაისი).

გუნდები ერთმანეთს ოთხჯერ ხვდებიან — ორჯერ შინ და ორჯერ სტუმრად. ქუთაისის „ლოკომოტივმა" პირველი შეხვედრები ჩაატარა ერევანში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდთან. პირველ შეხვედრაში სტუმრებმა გაიმარჯვეს — 2:1, ხოლო მეორე ფრედ — 1:1 დაამთავრეს.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა მორიგი შეხვედრა გამართეს ლენინაკანში, „შრომითი რეზერვების" ჰოკეისტებთან. პირველ შეხვედრაში სტუმრები დამარცხდნენ — 1:2. განმეორებითი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამრიგად, ქუთაისის „ლოკომოტივმა" ოთხი გასვლითი მატჩიდან 4 ქულის აღება შეძლო.

15 და 16 მაისს სამტრედიის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრები, ქუთაისის „ლოკომოტივი" მასპინძლობდა სუმგაითის „ფოლადს".

პირველ შეხვედრაში ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს რკინიგზელებმა. ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს გ. ტალახაძემ (ორი) და თ. შავნგირაძემ.

მეორე შეხვედრა მასპინძლებმა სუსტად ჩაატარეს და დამარცხდნენ 0:1.

**ფ. ლუკაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

ქუთაისი.

* * *

**სურათზე:** ქუთაისის „ლოკომოტივის" და სუმგაითის „ფოლადის" შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.



## წყალბურთი

**ბათუმის** „განთიადის" საცურაო აუზში ათ დღეს გრძელდებოდა ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც სსრ კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-მაიორის გ. მერკვილაძის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიის, რსფსრ-ის, სომხეთის, ყირგიზეთის, აჭარისა და ლენინგრადის მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ.

შეხვედრები წრიული სისტემით გაიმართა. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რუსეთის ფედერაციისა და ლენინგრადის წყალბურთელთა გუნდების პაექრობამ. ორივე კოლექტივს 13-13 ქულა ჰქონდა მოგროვილი. საპატიო პრიზის მოსაპოვებლად ორივეს

### ბარი მერკვილაძის სახელობისა

მხოლოდ გამარჯვება სჭირდებო[…] გაიმარჯვა რუსეთის ფედერაცი[…] გუნდმა (8:4) და 15 ქულით [...] მსახურებულად მოიპოვა გ. მე[…]კვილაძის სახელობის ბრო[…]თასი. აღსანიშნავია, რომ გამა[…]ჯვებულებმა დაუმარცხებლად გ[…]ნვლეს მთელი ტურნირი.

აზერბაიჯანელმა წყალბურთელ[…]ებმა დაამარცხეს (5:3) ნორჩი ა[…]არელი წყალბურთელები და […] ქულით II ადგილი დაიკავეს.

საქართველოსა და ლენინგრა[…]დის გუნდებმა 13-13 ქულა მოა[…]როვეს. საქართველოს მოსწავლ[…]თა ნაკრებს III ადგილი მიეკუთ[…]ნა, რადგან მათ ლენინგრადელ[…]თან შეხვედრაში გამარჯვება ჰქ[…]ნდათ მოპოვებული.

(ჩვენი კორ.)

ბათუმი.

### „სპორტლოტო": 9,5 მილიონი „ბედნიერი" ბილეთი

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომერი გამოიცნო ხუთმა ადამიანმა, ექვსი ნომერი (შეღავათიანი ბურთულით) — თერთმეტმა, ხუთი ნომერი — 561, ოთხი ნომერი (შეღავათიანი ბურთულით) — 252, ოთხი ნომერი — 48893, სამი ნომერი — 558315.

**„სპორტლოტო-2":** ექვსი ნომერი ერთმა გამოიცნო, ექვსი ნომერი (შეღავათიანი ბურთულით) — სამმა, ხუთი ნომერი — 248, ხუთი ნომერი (შეღავათიანი ბურთულით) — 216, ოთხი ნომერი — 13671, სამი ნომერი — 255354.

**„შაბათის სპორტლოტო": პირველი** — ხუთი ნომერი ამოცნობილია 92 ადამიანის მიერ, ოთხი ნომერი — 13958, სამი ნომერი — 430751. **მეორე** — ხუთი ნომერი ამოიცნო 75 ადამიანმა, ოთხი ნომერი — 13569, სამი ნომერი — 441048.

სულ პირველ კვარტალში „ბედნიერი" აღმოჩნდა „სპორტლოტოსა" და „სპრინტის" 9,5 მილიონი ბარათი. სპორტული ლატარიების მოყვარულებმა მოიგეს 250 ავტომანქანა, მათ შორის 25 „ვოლგა".

## ფეხბურთი

### კემპესი ითამაშებს

არგენტინელი თავდამსხმელი მა[…]რიო კემპესი ითამაშებს თავის[…] ქვეყნის ნაკრებში. ეს ცნობილ[…] გახდა მას შემდეგ, რაც ესპანეთ[…] „ვალენსიის" ხელმძღვანელობამ, სადაც იგი ამჟამად გამოდის, ნებ[…]დართო კემპესს შეუერთდეს არ[…]გენტინელებს.

### ბერნსი — საუკეთესო

ინგლისში წლის საუკეთესო ფე[…]ხბურთელად დასახელებულია „ნო[…]ტინგემ ფორესტის" მოთამაშე კე[…]ნი ბერნსი.

### ვალები, ვალები...

ევროპის ქვეყნების სააგენტ[…]ები იუწყებიან, რომ დას. ბერ[…]ლინის „ჰერტას", რომელიც ე[…]ერთი წამყვანია ბუნდესლიგაში, ვალებმა 3,5 მილიონ მარკას მი[…]აღწია.

### სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩე[…]მპიონატი. ასკ-ს სტადიონი. 20 მა[…]ისი. „სპარტაკი" (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). დასაწყი[…]სი 17 ს.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

### 23-24 მაისს

თბილისში, ალპიური კლუბის სხდომათა დარბაზში გაიმართება ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე: „საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ".

დასაწყისი: 23 მაისს — 12 ს., 24 მაისს — 10 ს.

რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 23 მაისს, დილის 11 საათიდან.

## ცდილობენ ძველი დიდების დაბრუნებას

**ანკარა.** „ოდესღაც თურქი მოჭიდავეები ამაყობდნენ ოლიმპიური და მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული ჯილდოებით. ამჟამად ჩვენი ჭიდაობა ისეთ ღრმა კრიზისს განიცდის, რომ წუთიც კი არ უნდა დავკარგოთ მისი ავტორიტეტის აღსადგენად". ეს სიტყვები აღებულია თურქეთის სპორტული კლუბის „ტოფაშის" თავმჯდომარის იალჩინ იპბიუკენის პარლამენტისა და ქვეყნის თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციისადმი მოხსენება-მიმართვიდან, რომელიც გაზეთ „მილიეტში" დაიბეჭდა.

იპბიუკენის აზრით, თურქი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მზადება უფრო გეგმიანად და ორგანიზებულად უნდა მიმდინარეობდეს. იგი შეგუებულია იმ აზრს, რომ ახლო მომავალში თურქები ვერ მოიპოვებენ ტიტულებს ევროპისა და მსოფლიო სარბიელებზე და ამის საკომპენსაციოდ სთავაზობს 9 ათლეტის მომზადებას, რომელთაც ოლიმპიურ მოსკოვში წარმატების შანსი ექნებათ. ესენი არიან: მ. იალჩინი (52 კგ-მდე), ფ. გიოკდოგანი (57), ნ. კურტი (62), მ. სარი და ბ. საბანჯიოღლუ (68), რ. კარაბაჯაკი (74), მ. უზუნი (82), ი. თემიზი (90) და მ. გოუჩლიუ (100).

იპბიუკენის აზრით, მოსკოვის ოლიმპიური ტურნირისთვის თურქი მოჭიდავეების მოსამზადებლად სამი ეტაპია საჭირო:

პირველი — ქვეყანაში ჭიდაობის საქმის მოგვარების უშუალო ორგანიზაცია უახლოეს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის გათვალისწინებით. თურქეთის ნაკრების შემადგენლობა განისაზღვრება 15 ათლეტით, რომლებიც მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან. კანდიდატები სწრაფად უნდა შეარჩიონ, რათა მათ შეძლონ შეკრება ულან-ბატორისა და ხასკოვოს (ბულგარეთი) პოპულარული საერთაშორისო ტურნირების წინ. ბულგარეთში, დან კოლოვის მემორიალის შემდეგ, სპორტსმენები გაემგზავრებიან ბურსასთან ახლოს მდებარე მაღალმთიან ულუდაგში (სიმაღლე — 1800 მ).

მოხსენებაში ნათქვამია იმ მწარე გამოცდილებაზე, როცა მეხიკოში თურქი მოჭიდავე-ოლიმპიელები წინასწარი აკლიმატიზაციის გარეშე ჩავიდნენ.

თურქი მოჭიდავეების ოლიმპიური მზადების მეორე ეტაპია სტამბულში, ანკარასა და ულუდაგში საწვრთნელი ბაზების შექმნა. აქ მწვრთნელები ძირითადად ყურადღებას გაამახვილებენ დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე და იმუშავებენ მათი გამოსწორებისთვის. საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში თურქი სპორტსმენების გამოსვლები აღბეჭდილი იქნება კინოფირზე, რომელსაც შემდეგ დეტალურად გააანალიზებენ სპეციალისტები.

შორეულ პერსპექტივაში კი განზრახულია შექმნან ჭიდაობის სპორტული ინსტიტუტი, რომელშიც სპორტული ხელმძღვანელები, მწვრთნელები ერთმანეთს გაუზიარებენ სპორტის ამ სახეობაში მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, მეცნიერულად წარმართავენ ქვეყანაში ჭიდაობის განვითარებას. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ჭიდაობის უდიდესი ტრადიციების მქონე ქვეყნებთან — სსრ კავშირთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, გდრ-თან და შვეციასთან ფართო თანამშრომლობა. (საკდესი).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-51.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.